საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 0 22 00546637

02/03/2022

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოადგილეს
(სანებართვო საკითხებში)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2022 წლის 24 თებერვლის №60-01220552610 (AR1860898) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქ. №10-ში (კორპუსი 1) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.12.023.055) ასაშენებელი სასტუმროს შენობის კორექტირებული დაპროექტების დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა.

გაცნობებთ, რომ აღნიშული სასტუმროს შენობის არქიტექტურულ პროექტზე სამსახურის მიერ 2020 წლის 2 დეკემბრის №MIA42002797769 წერილით გაცემული იქნა შესაბამისობის დასკვნა.

თქვენი 2021 წლის 26 ნოემბრის №60-01213302925 წერილით წარმოდგენილი კორექტირებული არქიტექტურული პროექტი დახარვეზდა შენობის +43.400 ნიშნულზე გაზზე მომუშავე საქვაბის განთავსების გამო.

ამჟამად წარმოდგენილი კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობის გათბობა განხორციელდება +43.400 ნიშნულზე განთავსებული ელექტრო ენერგიაზე მომუშავე საქვაბის საშუალებით, რაც აკმაყოფილებს ამ ფუნქციური დანიშნულების შენობისათვის განკუთვნილი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

რაც შეეხება წერილით წარმოდგენილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების (შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა, სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის ავტომატური ჩაქრობა, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაცია, გათბობა-გაგრილება

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

კონდენცირება, ხანძრის შესახებ შეტყობინება, ევაკუაციის მართვა, ავარიული განათება) დაპროექტების დოკუმენტაცია თავისი განმარტებითი ბარათებით განსახილველად წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ კორექტირებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის განსახილველად წარმოდგენა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გაცემიდან სამი თვის ვადაში.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

